PDF Eraser Free

დანართი №1

განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი
NATIONAL CENTER FOR EDUCATIONAL QUALITY ENHANCEMENT

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა სსიპ-ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის მიერ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის „სატყეო საქმის“ ავტორიზაციის პირობების შესრულების შემოწმების შესახებ

ექსპერტთაჯგუფისწევრები
თავმჯდომარე:ნაზო წიბლიაშვილი
წევრები:
გიორგი ხაბეიშვილი
ნია გუგუნავა

(თბილისი, 2021 წელი)

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

I. ინფორმაცია დაწესებულების შესახებ

დაწესებულების სახელწოდება: **სსიპ-ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი**
ორგანიზაციულ სამართლებრივი ფორმა: **საჯარო სამართლის იურიდიული პირი**
საიდენტიფიკაციო კოდი: [redacted]

სახე:

- [x] უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება
- [ ] ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულება
- [ ] პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულება/კოლეჯი

<u>ადმინისტრაციული წარმოების სახე (მონიშნეთ შესაბამისი უჯრა):</u>

- [ ] პროფესიულ სტუდენტთა ადგილების რაოდენობის გაზრდა
- [ ] პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ადგილის/ფართის ცვლილება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

☐ საშუალო პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაში ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის სწავლის შედეგების ინტეგრირება

■ ავტორიზაციის პირობების შესრულების შემოწმება

☐ **გეგმიური**

☐ **არაგეგმიური**

პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს შუამდგომლობა

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

III. ინფორმაცია პროფესიული სტუდენტების შესახებ[1]

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება	შესაბამისი საბჭოს მიერ განსაზღვრული პროფესიული სტუდენტებისზღვრული რაოდენობა	აქტიური პროფესიული სტუდენტების რაოდენობა	სტატუსშეჩერებული პროფესიული სტუდენტების რაოდენობა
სატყეო საქმე	20	14	-

[1]აღნიშნული ინფორმაცია მოწოდებულია უნივერსიტეტის მიერ დისტანციური ჩართვის დროს.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

IV. საერთო მიმოხილვა

პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს შუამდგომლობით (2020 წლის30 ივლისის N 648539 ოქმი), სსიპ- განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2021 წლის 18 თებერვლის N132613 ბრძანების საფუძველზე, ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფს (ჯგუფის თავმჯდომარე ნაზო წიბლიაშვილი- პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის ექსპერტი, ჯგუფის წევრები გიორგი ხაბეიშვილი - პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის ექსპერტი და ნია გუგუნავა - უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის ექსპერტი) დაევალა დისტანციურად, კომუნიკაციის თანამედროვე ელექტრონული საშუალებების გამოყენებით სსიპ-ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის „სატყეო საქმის“ ავტორიზაციის დებულების“ 31-ე მუხლის, მე-2 პუნქტის ბ ქვეპუნქტით განსაზღვრული სტანდარტის ბ.ბ) კომპონენტის შესრულების და წინა ვიზიტის ფარგლებში ავტორიზაციის ექსპერტების მიერ გაცემული რეკომენდაციების შემოწმება.

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის ექსპერტს ნია გუგუნავას ფუნქციებად დამატებით განესაზღვრა პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების სტანდარტებთან შესაბამისობის შემოწმების დროს გამოვლენილი გარემოებების საფუძველზე უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის სტანდარტებთან საგანმანათლებლო დაწესებულების შესაბამისობის შეფასება და დასკვნაში ასახვა.

მონიტორინგის ფარგლებში, რეკომენდაციების გათვალისწინების შემოწმების მიზნით დაწესებულებამ გადმოგზავნა მატერიალური რესურსის შესყიდვის დოკუმენტაცია, საგანმანათლებლო პროგრამა და სასწავლო გეგმა, პროფესიული მასწავლებლების პირადი საქმეები და ხელშეკრულებები, მარეგულირებელი დოკუმენტები და მემორანდუმები პრაქტიკის ობიექტებთან.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free
დაწესებულებამ წარმოადგინა გაეროს განვითარების პროგრამის (UNDP) ფარგლებში 49289 $-ის (126906.75 ლარი) მატერიალურ-ტექნიკური აღჭურვილობის (კომპიუტერები, მონიტორები, პრინტერი, პროექტორი, GPS ნავიგატორი, ბენზოხერხი, სარგავი აგრეგატი, გუთანი, ნიადაგის ღრმად დასამუშავებელი(საპლანტაჟე) გუთანი, ნარგავების ამომღები აგრეგატი, დასაფარცხი აგრეგატი, კულტივატორი, ამომძირკველი, სათესი აგრეგატი და სხვ.) მიღება-ჩაბარების აქტები, რითაც უზრუნველყო პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა.

2021 წ. 1 მარტს განხორციელდა დისტანციური ჩართვა უნივერსიტეტთან. მონიტორინგის განრიგის დაცვით მოხდა გასაუბრება პროფესიული პროგრამების მართვისა და უწყვეტი განათლების ცენტრის დირექტორთან, პროფესიული პროგრამების მართვისა და უწყვეტი განათლების ცენტრის ხარისხის მართვის მენეჯერთან, პროფესიული პროგრამების მართვისა და უწყვეტი განათლების ცენტრის სასწავლო პროცესის მართვის მენეჯერთან, პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელთან, პროფესიული განათლების მასწავლებლებთან, ბიბლიოთეკის და პრაქტიკის ობიექტების წარმომადგენლებთან.
ჩართვის დროს განხილული იყო წარმოდგენილი დოკუმენტაცია. ვინაიდან პროგრამის განმახორციელებლების დოკუმენტები სრულად არ იყო წარმოდგენილი, შესაბამისად დამატებით გამოთხოვილი იქნა იმ პირების განათლების დამადასტურებელი დოკუმენტაცია, რომელიც არ იყო გადმოგზავნილი. დარგის ექსპერტი დაინტერესდა იყო თუ არა განხორციელებული ცვლილება განმახორციელებლებს შორის, რაზეც დაწესებულების წარმომადგენელმა უპასუხა რომ ცვლილება არ განხორციელებულა.
უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის ექსპერტი დაინტერესდა ასწავლიდნენ თუ არა პროფესიული პროგრამის განხორციელებაში ჩართული პირები უმაღლეს საგანმანათლებლო პროგრამაზე, დაცული იყო თუ არა 40 საათიანი დატვირთვის გრაფიკი და პროფესიული პროგრამისითვის განკუთვნილი სასწავლო გარემო გამოიყენებოდა თუ არა უმაღლეი განათლების პროგრამებისთვის, რაზედაც დაწესებულების წარმომმდგენლებმა აღნიშნეს რომ დაცულია 40 საათიანი დატვირთვა, რაც შეეხება სასწავლო გარემოს გამოიყენება მხოლოდ პროფესიული პროგრამისთვის. ;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free
<u>უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის ექსპერტის მიერ დადგინდა, რომ აღნიშნული პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებით არ იქმნება აკადემიური საგანმანათლებლო პროგრამების არაჯეროვნად განხორციელების რისკი და არ მოხდება უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის სტანდარტების დარღვევა.</u>

დაწესებულებას აღჭურვილობის ნაწილის უზრუნველყოფა (სატვირთო ავტომანქანა, ტრაქტორი, ხელსაწყოები ხანძრის ქრობისათვის, თესლის შესანახი კონტეინერები, მჭრელი ინვენტარის სალესი და საზომი ბაფთა) გატანილი აქვს პრაქტიკის ობიექტებზე. პრაქტიკის ობიექტების წარმომადგენლებთან გასაუბრების დროს ექსპერტები დავინტერესდით აღნიშნულ აღჭურვილობაზე პროფესიული სტუდენტების წვდომის უზრუნველყოფის თაობაზე, რაზეც მივიღეთ მათი მზაობის თანხმობა და დაინტერესება კადრების მომზადების თვალსაზრისით. უნდა აღინიშნოს რომ პარაქტის ობიექტის წარმომადგენელი ჩართულია საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებაში, რაც უზრუნველყობს პროფესიულ სტუდენტთა დასაქმების ბაზრისთვის რეალურ მომზადებას.
დამატებით იქნა გამოთხოვილი ასევე პროგრამის ბიუჯეტი.
დათვალიერებული იქნა სასწავლო გარემოები, მატერიალური აღჭურვილობა, ბიბლიოთეკა, კოლეჯის ინფრასტრუქტურა.

წინა ადმინისტრაციული წარმოების ფარგლებში მომზადებული დასკვნის თანახმად, დაწესებულების პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა „სატყეო საქმე“ ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან მიმართებაში შეფასდა როგორც მეტწილი შესაბამისი, რადგანაც 2.2 კომპონენტი შეფასდა მეტწილად.

შემოწმებული დოკუმენტების და განხორციელებული ჩართვის საფუძველზე აღნიშნული პროგრამის ავტორიზაციის მე-2 სტანდარტის 2.2 კომპონენტი ექსპერტთამიერ შეფასდა სრულ შესაბამისობაში და შესაბამისად პროგრამა არის უკვე „სრული შესაბამისი“.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

VII. წინა ვიზიტის ფარგლებში გაცემული რეკომენდაციების შესრულების შეფასება და აღწერა

სტანდარტთან შესაბამისობის მიზნით გაცემული რეკომენდაცია

კომპონენტი 2.2.1. პროგრამა უზრუნველყოფილია პროგრამის განსახორციელებლად საჭირო რესურსებით.

დაწესებულებას შესყიდული არ აქვს აღჭურვილობის ნაწილი. აღჭურვილობის შესყიდვას ახდენს გაეროს განვითარების პროგრამა(UNDP), რაც დასტურდება ელექტრონული მიმოწერით. შესაბამისად, დაწესებულებამ წარმოადგინა რექტორის 2020 წლის 3 ივლისის N01-02/72 ბრძანებით დამტკიცებული სატყეო საქმის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამისთვის შესაბამისირესურსებით უზრუნველყოფის გეგმა. მასში გაწერილია, რომ გაეროს განვითარების პროგრამის მიერ დაფინანსების ოდენობაა 85485 ლარი და ამ პროცესის დასრულების სავარაუდო თარიღია 2021 წლის 3 იანვარი. გეგმაში ასევე გაწერილია, რომ ქვეყანაში არსებული ვითარების გათვალისწინებით (COVID-19) რთულია UNDP-ის მიერ შესყიდვების პროცესის პროგნოზირება- **შესრულებულია.**

განვითარების მიზნით გაცემული რეკომენდაციები

კომპონენტი 2.3.1. პროგრამის განვითარება უზრუნველყოფილია პროგრამების შეფასებისა და განვითარების პსდ-ში მოქმედი მექანიზმით.

ბსუ-ს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავების, შეფასებისა და განვითარების უზრუნველყოფის წესით ირკვევა, რომ „პროგრამაში ცვლილების შეტანა ხორციელდება წინამდებარე წესით დადგენილი პროცედურებით“. ხარისხის მართვის მენეჯერის თქმით, ზემოაღნიშნულ ჩანაწერში იგულისხმება, რომ პროგრამაში ცვლილება ხორციელდება პროგრამის შემუშავების პროცედურის შესაბამისად. გამომდინარე იქიდან, რომ შემუშავების პროცედურა მოიცავს დაგეგმვის ეტაპსაც, სასურველია ზუსტად იკვეთებოდეს, პროგრამაში ცვლილება რომელი პროცედურით ხორციელდება. დაწესებულების მიერ შემუშავებულ ბსუ-ს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავების, შეფასებისა დაგანვითარების უზრუნველყოფის წესით ირკვევა, რომ საგანმანათლებლო პროგრამის შეცვლის ან გაუქმების შემთხვევაში უნივერსიტეტი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free
შესაბამისი უწყების ინფორმირებას განახორციელებს კანონმდებლობით დადგენილი წესით. გამომდინარე იქიდან, რომ დაწესებულებას პროგრამების განვითარებაზე ზრუნვა შეუძლია როგორც საკუთარი შესაძლებლობების ფარგლებში, ასევე, ცენტრში წინადადებების ინიცირებების გზით, სასურველია აღნიშნული იკვეთებოდეს დაწესებულების მიერ შემუშავებულ რეგულაციაში- **გათვალისწინებულია** (ბსუ-ს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავების, შეფასებისა და განვითარების უზრუნველყოფის წესი; ცვლილება ბსუ-ს აკადემიური საბჭოს 2020 წლის 24 ივლისის N06-01/40 დადგენილებით). მარეგულირებელში განხორციელებული ცვლილების საფუძველზე „პროგრამაში ცვლილებების შეტანა შესაძლებელია: <u>პროფესიული საგანმანთლებლო პროგრამის შეფასების მოქმედი სისტემით გათვალისწინებული ღონისძიებების შედეგების ანალიზის; პროფესიულ საგანმანათლებლო სტანდარტში, სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის მიერ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტში შეტანილი ცვლილებების; არჩევითი მოდულის შემთხვევაში, შრომის ბაზრის მოთხოვნის (რომელიც უკავშირდება კონკრეტული დამსაქმებლის ან რეგიონის მოთხოვნებს) საფუძველზე; ერთი მოდულის მეორეთი ჩანაცვლების შემთხვევაში; ასევე სხვა გარემოებების საფუძველზე.“</u>

კომპონენტი 2.4.1. სასწავლო პროცესი უზრუნველყოფს სასწავლო მიზნების მიღწევას.

1. დაწესებულების მიერ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავების, შეფასებისა და განვითარებისუზრუნველყოფის წესში საუბარია, რომ „მოდული, თუკი არის სხვა მოდულზე დაშვების წინაპირობა, წინმსწრებ და მომდევნო მოდულებს შორის სწავლება უნდა განხორციელდეს მინიმუმ ერთკვირიანი ინტერვალით, რათა არ შეიქმნას განმეორებითი შეფასების ჩატარების პრობლემა“. სასურველია დაწესებულების მიერ შემუშავებულ რეგულაციაში იკვეთებოდეს, თუ როდის, რა ვადაში ინიშნება განმეორებითი შეფასება და გათვალისწინებულ იქნას აპელაციის შემდგომ ის შემთხვევები, როდესაც სააპელაციო კომისიის მიერ დაინიშნება განმეორებითი შეფასებები. ზემო აღნიშნულის დროს, რეგულაციით ერთ კვირიან ინტერვალში შეუძლებელია განმეორებითი შეფასების ჩატარება შედგენა.-**გათვალისწინებულია;** (ბსუ-ს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავების, შეფასებისა და განვითარების უზრუნველყოფის წესი. ცვლილება ბსუ-ს აკადემიური საბჭოს 2020 წლის 24 ივლისის N06-01/40 დადგენილებით).მარეგულირებელში

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free
განხორციელებული ცვლილების საფუძველზე „მოდული თუ კი არის სხვა მოდულის დაშვების წინაპირობა, წინმსწრებ და მომდევნო მოდულებს შორის სწავლება უნდა განხორციელდეს მინიმუმ 2-კვირიანი ინტერვალით, რათა არ შეიქმნას განმეორებითი შეფასების ჩატარების პრობლემა“. უნდა აღინიშნოს რომ სასწავლო გეგმით დაწესებულებას წინაპირობიანი მოდულის განხორციელება დაგეგმილი აქვს უფრო მეტი ინტერვალით.

2. სასურველია, დაწესებულების მიერ შემუშავებული რეგულაციით იკვეთებოდეს სტუდენტთან შეთანხმებით ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შედგენა.-**გათვალისწინებულია;** (ბსუ-ს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავების, შეფასებისა და განვითარების უზრუნველყოფის წესი. ცვლილება ბსუ-ს აკადემიური საბჭოს 2020 წლის 24 ივლისის N06-01/40 დადგენილებით). მარეგულირებელში განხორციელებული ცვლილების საფუძველზე „პროფესიული სტუდენტისათვის ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შესადგენად იქმნება სამუშაო ჯგუფი, ცენტრის ხარისხის მართვის მენეჯერის, საწავლო პროცესის მართვის მენეჯერის, პროფესიული პროგრამის ხელმძღვანელის, მოდულის განმახორციელებელი პროფესიული მასწავლებლების შემადგენლობით. სამუშაო ჯგუფი, პროფესიული სტუდენტის ჩართულობის გზით უზრუნველყოფს სტუდენტისათვის ყველაზე ოპტიმალური სასწავლო გეგმის შედგენას. შემუშავებული გეგმა წარედგინება ცენტრის დირექტორს (და მოწმდება ცენტრის ბეჭდით და დირექტორის ხელმოწერით)“;

3. უნივერსიტეტის თანამშრომლობა პრაქტიკის კომპონენტის განმახორციელებელ დაწესებულებასთან (სსიპ - აჭარის სატყეოსააგენტო; სსიპ ბათუმის ბოტანიკურ ბაღი) დასტურდება შესაბამისი ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმებით, რომლებიც გაფორმებულია მიმდინარე წლის 4 ივნისს და ძალაშია მის გაუქმებამდე. სასურველია მემორანდუმებში მკაფიოდ იკვეთებოდეს,რომ პარტნიორ დაწესებულებებთან გაფორმებული მემორანდუმები ძალაშია უვადოდ, ან მინიმუმ პროგრამის განხორციელებისვადით- **გათვალისწინებულია**. დაწესებულებამ წარმოადგინა შეცვლილი მემორამდუმები რომელშიც მითითებულია რომ გაფორმებული მემორანდუმები ძალაშია პროგრამის განხორციელებისვადით.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

VIII. დაფიქსირებული ხარვეზების შეჯამება

არ დაფიქსირებულა

IX.სტანდარტთან შესაბამისობის რეკომენდაციების შეჯამება

არ გაცემულა

X. განმავითარებელი რეკომენდაციების შეჯამება

არ გაცემულა

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

XII. ინფორმაცია პსდ-ს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

პროგრამის სახელწოდება	**სატყეო საქმე**
პროფესიული განათლების საფეხური / დონე	**მეოთხე**
მისანიჭებელი კვალიფიკაცია	**საშუალო პროფესიული კვალიფიკაცია სატყეო საქმეში /Secondary Vocational Qualification in Forestry**
სპეციალიზაციის/სწავლის დეტალური სფეროს კოდი	**0821**
პროგრამის დამტკიცების/ცვლილების აქტის რეკვიზიტები	**„ბსუ-ს პროფესიული განათლების მიმართულებით პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების დამტკიცების შესახებ“ ბსუ-ს რექტორის 2019 წის 25 ოქტომბრის N01-02/168 ბრძანება; „ბსუ-ს პროფესიული განათლების მიმართულებით პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების დამტკიცების შესახებ“ ბსუ-ს რექტორის 2019 წლის 25 ოქტომბრის N01-02/168 ბრძანებაში ცვლილებების შეტანის შესახებ“ ბსუ-ს რექტორის მოადგილის 2020 წლის 5 ივნისის N01-02/54 ბრძანება.**
პროგრამის განხორციელების ენა	**ქართული**
პროგრამის განხორციელების ადგილი	**ქ. ბათუმი, გრიშაშვილის ქუჩა N5**
პროგრამის განხორციელების ფორმა (მოდულური/დუალური)	**მოდულური**

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

პროგრამაზე პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა	**20 მოდულური** **ქ. ბათუმი, გრიშაშვილის ქუჩა N5**
სტუდენტთა ზღვრული რაოდენობიდან,პროფესიული სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა იმ სასწავლო გეგმაზე, რომელიც მოიცავს ინტეგრირებულ ზოგად მოდულებს *(არსებობის შემთხვევაში).*	-
კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის	-
კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის	**48**
კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის	-
კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის	**78**

ექსპერტთა ჯგუფის შეფასება პროგრამაზემოთხოვნილი პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის შესახებ:

ექსპერტთა ჯგუფი ეთანხმება ☒
ექსპერტთა ჯგუფი არ ეთანხმება ☐

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

XIII. პროგრამის პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის ცხრილი

ცხრილი ივსება თითოეული პროგრამისთვის ცალ-ცალკე

სტანდარტი/კომპონენტი	**საგანმანათლებლო დაწესებულების შეფასება**	**ექსპერტთა ჯგუფის შეფასება**
2) საგანმანათლებლო პროგრამები	(დაწესებულების მიერ სტანდარტის საბოლოო შეფასება)	(ექსპერტების მიერ სტანდარტის საბოლოო შეფასება)
2.1) საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვა და შემუშავება		
2.2) საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების რესურსი		**სრული**
2.3) საგანმანათლებლო პროგრამების შეფასება და განვითარება		
2.4) სასწავლო პროცესის ორგანიზება და პროფესიულ სტუდენტთა შეფასება		

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

პროფესიული საგანმანთლებლო პროგრამის პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის შეფასება

ავტორიზაციის მე-2 სტანდარტის შეფასებახორციელდება თითოეული პროგრამისთვის ცალ-ცალკე

2.საგანმანათლებლო პროგრამები

2.2საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების რესურსი.

2.2.1პროგრამა უზრუნველყოფილია პროგრამის განსახორციელებლად საჭირო რესურსებით.

1. პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია დაწესებულების/სასწავლო საწარმოს/ პრაქტიკის ობიექტის მფლობელობაში არსებული მატერიალური რესურსით, პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით;
2. პროგრამისთვის განსზღვრული პროფესიული განათლების მასწავლებელთა რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობას;
3. პროგრამისთვის განსაზღვრულ პროფესიული განათლების მასწავლებელს აქვს პროფესიულ სტუდენტთათვის შესაბამისი სწავლის შედეგების გამომუშავების და შეფასების კომპეტენცია;
4. საგანმანათლებლო პროგრამას ჰყავს პსდ-ს მიერ განსაზღვრული, შესაბამისი დარგობრივი კომპეტენციის მქონე ხელმძღვანელი;
5. საგანმანათლებლო პროგრამაში მითითებული საგანმანათლებლო რესურსი ხელმისაწვდომია ელექტრონული სახით ან დაწესებულების ბიბლიოთეკაში მატერიალური სახით და გამოიყენება სასწავლო პროცესში;
6. სსსმ პირებს წვდომა აქვთ პროგრამით გათვალისწინებულ ან ინდივიდუალური სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ სასწავლო რესურსებთან, რომლებიც ადაპტირებულია სსსმ პირების საჭიროებებისა და მოთხოვნილებების შესაბამისად;

7. პსდ-ს ფინანსური რესურსით უზრუნველყოფილია საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობა.

კომპონენტის/კრიტერიუმის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

1. **პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია დაწესებულების/სასწავლო საწარმოს/ პრაქტიკის ობიექტის მფლობელობაში არსებული მატერიალური რესურსით, პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით;**

„სატყეო საქმის“ საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია დაწესებულების და პრაქტიკის ობიექტის მფლობელობაში არსებული მატერიალური რესურსით. დაწესებულების მიერ წარმოდგენილი ფოტოსურათებით და დისტანიური ჩართვის საფუძველზე ირკვევა, რომ „სატყეო საქმის“ სასწავლო აუდიტორიაში 20 პროფესული სტუდენტისთვის განთავსებულია სამუშაო მაგიდა, სკამი დაკომპიიუტერული ტექნიკა დაწესებულების მიერ სრულადაა წარმოდგენილი პროგრამისთვის საჭირო მატერიალურ-ტექნიკური აღჭურვილობის ფლობის დოკუმენტები. დისტანციურად განხორციელებული ჩართვისას დათვალიერდა დოკუმენტით წარმოდგენილი აღჭურვილობა. დაწესებულებამ წარმოადგინა გაეროს განვითარების პროგრამის (UNDP) ფარგლებში 49289 $-ის (126906.75 ლარი) მატერიალურ-ტექნიკური აღჭურვილობის (კომპიუტერები, მონიტორები, პრინტერი, პროექტორი, GPS ნავიგატორი, ბენზოხერხი, სარგავი აგრეგატი, გუთანი, ნიადაგის ღრმად დასამუშავებელი (საპლანტაჟე) გუთანი, ნარგავების ამომღები აგრეგატი, დასაფარცხი აგრეგატი, კულტივატორი, ამომძირკველი, სათესი აგრეგატი და სხვ.) მიღება-ჩაბარების აქტები, რითაც უზრუნველყო პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა.
საგანმანათლებლო პროგრამის მოდულის „საწარმოო პრაქტიკა-სატყეო საქმე“ და მოდულების „ტყის მერქნიან სახეობათა თესლების წარმოება“, „ტყის აღდგენა-გაშენება“, „ტყის დაცვა ხანძრებისა და მავნებლებისაგან“ და „ხე-ტყის დამზადება“ პრაქტიკული კომპონენტის განხორციელებისთვის წარმოდგენილია 2020წ. 10 ივლისს გაფორმებული ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმები: სსიპ „აჭარის სატყეო სააგენტოსთან“ და სსიპ „ბათუმის ბოტანიკური ბაღთან“- სადაც გაწერილია რომ ობიექტები მოემსახურებიან 20-20 პროფესიულ სტუდენტს; მემორანდუმები გაფორმებულია პროგრამის გახორციელების ვადით.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

დაწესებულებას წარმოგენილი აქვს ასევე საჯარო რეესტრის ამონაწერები, რითაც აადასტურებს ხელვაჩაურის რაიონში, სოფელ მწვანე კონცხთან მიწის ნაკვეთების ფლობას, რომელთა გამოყენებაც შესაძლებელია საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგების პრაქტიკული კომპონენტების მისაღწევად.

პროგრამაზე პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა, განსაზღვრულია 20 პროფესიული სტუდენტით.

პროგრამის მოცულობა ქართულენოვანი პროფესიული სტუდენტებისათვის შეადგენს 48 კრედიტს, რომელთაგან 15 კრედიტი არის ზოგადი მოდულები, 33 კრედიტი- პროფესიული მოდულები. სწავლების ხანგრძლივობა 10 სასწავლო თვე; არაქართულენოვანი პროფესიული სტუდენტებისათვის პროგრამის მოცულოობაა 78 კრედიტი. მათ შორის, 15 კრედიტიგანკუთვნილია ,,ქართული ენა A2” მოდულის და 15 კრედიტი ,,ქართული ენა“ B1 სწავლებისათვის. არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის სწავლების ხანგრძლივობაა 15სასწავლო თვე.

2. პროგრამისთვის განსზღვრული პროფესიული განათლების მასწავლებელთა რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობას;

საგანმანათლებლო პროგრამის,,სატყეო საქმე“ პროფესიული განათლების მასწავლებელთა რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობას.

დაწესებულების მიერ წარმოდგენილია სასწავლო გეგმა და საგანმანათლებლო პროგრამის განმახორციელებელთა პირადი საქმეები, სასწავლო გეგმის თანახმად პროფესიული განათლების მასწავლებლის საათობრივი კვირეული დატვირთვა შეესაბამება მოქმედ კანონმდებლობას და არ აღემატება 40 საათს. ზოგადი მოდულების განხორციელებაში ჩართულია 12 (თორმეტი), ხოლო პროფესიული მოდულების განხორციელებაში 10 (ათი) პროფესიული განათლების მასწავლებელი.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

3. **პროგრამისთვის განსაზღვრულ პროფესიული განათლების მასწავლებელს აქვს პროფესიულ სტუდენტთათვის შესაბამისი სწავლის შედეგების გამომუშავების და შეფასების კომპეტენცია;**

საგანმანათლებლო პროგრამის,,სატყეო საქმე" განმახორციელებელ პროფესიული განათლების მასწავლებლებს გააჩნიათ პროფესიულ სტუდენტთათვის შესაბამისი სწავლის შედეგების გამომუშავების და შეფასების კომპეტენცია, პროგრამის განხორციელებაში ჩართული პროფესიული განათლების მასწავლებლები აღჭურვილი არიან სწავლებისა და შეფასების სათანადო კომპეტენციით, აღნიშნული კომპეტენციები მათ უდასტურდება შესაბამისი კვალიფიკაციით და/ან მრავალწლიანი პროფესიული/პედაგოგიური გამოცდილებით და/ან გავლილი ტრენინგებით, ასევე დისტანციური ჩართვისას განხორციელებული გასაუბრებით. პროფესუილ მასწავლებლებს პროფესიული განვითარების სახელმწიფო პროგრამის ფარგლებში გავლილი აქვთ პროფესიული განათლების მასწავლებელთა პედაგოგიური პროგრამის სრული კურსი.

4. **საგანმანათლებლო პროგრამას ჰყავს პსდ-ს მიერ განსაზღვრული, შესაბამისი დარგობრივი კომპეტენციის მქონე ხელმძღვანელი;**

საგანმანათლებლო პროგრამას ჰყავს პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ განსაზღვრული, შესაბამისი დარგობრივი კომპეტენციის მქონე ხელმძღვანელები. დარგობრივი კომპეტენცია დასტურდება დაწესებულების მიერ წარმოდგენილი საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელების პირადი საქმეებით, ხოლო ხელმძღვანელობა განსაზღვრულია პროგრამით. დაწესებულების მიერ შემუშავებული „ბსუ-სპროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავების, შეფასებისა და განვითარების უზრუნველყოფის წესის" შესაბამისად პროგრამის ხელმძღვანელი აქტიურად მონაწილეობს პროგრამის შემუშავებაში, ხელმძღვანელობს პროფესიულ პროგრამაზესასწავლო პროცესს, პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შეფასებისა და განვითარების პროცესში უზრუნველყოფს პროფესიული განათლების

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free
მასწავლებლების, მოწვეული სპეციალისტების, სტუდენტების, კურსდამთავრებულების, დამსაქმებლებისა და სხვა დაინტერესებული პირების ჩართულობას.
ასევე მასთან დისტანციურად განხორციელებული გასაუბრებით დადგინდა, რომ კოლეჯს პროგრამაზე ჰყავს შესაბამისი დარგობრივი კომპეტენციის მქონე ხელმძღვანელები.

5. **საგანმანათლებლო პროგრამაში მითითებული საგანმანათლებლო რესურსი ხელმისაწვდომია ელექტრონული სახით ან დაწესებულების ბიბლიოთეკაში მატერიალური სახით და გამოიყენება სასწავლო პროცესში;**

დისტანციურად განხორციელებული ჩართვისას დათვალიერებული იქნა დაწესებულების ბიბლიოთეკა და საგანმანათლებლო რესურსი, რომელიც ხელმისაწვდომია უნივერსიტეტის ბიბლიოთეკაში როგორც ელექტონული ისე მატერიალური სახით, სასწავლო რესურსი დამუშავებულია საბიბლიოთეკო წესით და გამოიყენება სასწავლო პროცესში. ბიბლიოთეკაში არის სამუშაო სივრცე აღჭურვილი კომპიუტერებით, ბიბლიოთეკის სარგებლობის წესი განთავსებულია ბიბლიოთეკაში თვალსაჩინო ადგილას. აქტიურად მიმდინარებს სასწავლო რესურსის გაციფრულება.

6. **სსსმ პირებს წვდომა აქვთ პროგრამით გათვალისწინებულ ან ინდივიდუალური სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ სასწავლო რესურსებთან, რომლებიც ადაპტირებულია სსსმ პირების საჭიროებებისა და მოთხოვნილებების შესაბამისად;**

დაწესებულებაში არსებობს მზაობა რათა სსსმ პირებს ქონდეთ წვდომა პროგრამით გათვალისწინებულ ან ინდივიდუალური სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ სასწავლო რესურსებთან, რომლებიც ადაპტირდება სსსმ პირების საჭიროებებისა და მოთხოვნილებების შესაბამისად; საჭიროების შემთხვევაში შესაძლებელია განხორციელდეს როგორც მოდულის მოდიფიკაცია, ასევე აკომოდაცია. ინდივიდუალური სასწავლო გეგმა იქმნება სწავლის დაწყებიდან ერთი თვის განმავლობაში, მასწავლებლისა და ინკლუზიური პროფესიული განათლების სპეციალისტის მიერ სასწავლო პროცესზე დაკვირვების შედეგად. დაწესებულებას 2019 წ.4 მარტის რექტორის ბრძ.N01-02/29 საფუძველზე დამტკიცებული აქვს

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

სპეციალური მასწავლებლის ფუნქციები, რომელშიც გაწეილია, რომ საჭიროების შემთხვევაში სსსმ პროფესიულ სტუდენტთან მუშაობს ინდივიდუალურად და ქმნის საგანმანათლებლო რესურსებს.

საჭიროების შემთხვევაში უნივერსიტეტი უზრუნველყოფს სსსმ პირთა საგანმანათლებლო პროცესში ჟესტური ენის თარჯიმნის, სივრცითი ორიენტაციისა და მობილობის ტრენერის, გადაადგილების მხარდამჭერის და სპეციალური მომვლელის ჩართვას.

7. პსდ-ს ფინანსური რესურსით უზრუნველყოფილია საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობა.

უნივერსიტეტის ფინანსური რესურსით უზრუნველყოფილია საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობა. პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამას „სატყეო საქმე“ აფინანსებს სახელმწიფო (ვაუჩერული დაფინანსება). ვაუჩერული დაფინანსება დაწესებულებას მიეცემა სასწავლო პროცესის წარმართვისათვის აუცილებელი ხარჯებისათვის, მათ შორის პროფესიული განათლების მასწავლებლის შრომის ასანაზღაურებლად (საქართველოს მთავრობის 2013 წლის 19 სექტემბრის №244 დადგენილება „პროფესიული განათლების დაფინანსების წესისა და პირობების განსაზღვრისა და პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განმახორციელებელ სახელმწიფოს მიერ დაფუძნებულ საგანმანათლებლო დაწესებულებებში სწავლის საფასურის მაქსიმალური ოდენობის დამტკიცების თაობაზე“). დაწესებულების მიერ შემუშავებული პროგრამის ბიუჯეტით ირკვევა, რომ პროგრამის ფარგლებში რენტაბელობის ზღვარი შეადგენს 10 პროფესიულ სტუდენტს, ვაუჩერული დაფინანსების ხარჯებში მოიაზრება პროფესიული მასწავლებლის შრომის ანაზღაურება, საოპერაციო და პროგრამის განვითარების ხარჯი.

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

- მატერიალური და ტექნიკური აღჭურვილობის ფლობის დამადასტურებელი დოკუმენტებით;
- ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმით;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

- საჯარო რეესტრიდან ამონაწერებით
- საგანმანათლებლო პროგრამით;
- განმახორციელებლების და პროგრამის ხელმძღვანელის პირადი საქმეები/სერთიფიკატებით;
- ბსუ-ს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავების, შეფასებისა და განვითარების უზრუნველყოფის წესით;
- სპეციალური მასწავლბლის ფუნქციებით;
- საგანმანათლებლო პროგრამის ბიუჯეტით;

შეფასება:

☒შეესაბამება
☐მეტწილად შეესაბამება
☐ნაწილობრივ შეესაბამება
☐არ შეესაბამება

XI. თანდართული დოკუმენტაცია

დანართი 1. მონიტორინგის განრიგი.

11.03.2021 წ.
თარიღი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: